

პოზიცია ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესახებ და

შენიშვნები ამავე პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების 2011 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ სკოპინგის ანგარიშზე

15 დეკემბერი, 2011

საქართველოს მთავრობისა და კომპანია Trans Electrica Limited (ინდოეთი) განცხადებით, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გულისხმობს 200.5 მ სიმაღლის თაღოვანი კაშხლისა და 702 მეგავატი სიმძლავრის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას სვანეთში. პროექტი ითვალისწინებს 528 ჰა ფართობის ტერიტორიის დატბორვას, რის გამოც შეიქმნება 364.5 მლნ კუბური მეტრის მოცულობის ხელოვნური რეზერვუარი¹.

მწვანე ალტერნატივას და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელს (CEE Bankwatch Network) აქვთ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ხუდონის ჰიდროელექტროსადგურთან (ხუდონ-ჰესი) დაკავშირებით და ეწინააღმდეგებიან ამ პროექტის განხორციელებას.

ქვემოთ, თავდაპირველად განხილულია პროექტის საწინააღმდეგო არგუმენტები; შემდგომ კი, წარმოდგენილია შენიშვნები პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების 2011 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ სკოპინგის ანგარიშზე, ასევე, შეფასებულია ინვესტორის მიერ ხუდონ-ჰესის პროექტის შესახებ საზოგადოების (მათ შორის, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემების) ინფორმირებისა და საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გაწეული ძალისხმევის ეფექტურობა.

I. რატომაა მიუღებელი ხუდონ-ჰესის პროექტი?

1. ძლიერი ზემოქმედება მკვიდრ მოსახლეობაზე

იძულებით გადასახლებას დაექვემდებარება არამარტო სოფელი ხაიშის, არამედ მთლიანად ხაიშის თემში შემავალი 27 სოფლის მოსახლეობაც, დაახლოებით 525 ოჯახი. დღეს ზემო სვანეთის (მესტიის მუნიციპალიტეტის) მოსახლეობა სულ 14 591 კაცს შეადგენს. 1500-2000 კაცის გადასახლება სვანეთისთვის მეტად დიდი დარტყმა იქნება; მცირერიცხოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფისთვის ასეთი ფრაგმენტაცია (რომელიც მან ახლო წარსულში უკვე განიცადა სტიქიური მოვლენების გამო), გადასახლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინების გარეშეც კი, დამანგრეველ ზეგავლენას იქონიებს.

¹ ხუდონ-ჰესის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება: სკოპინგის დოკუმენტი; ოქტომბერი 2011; „ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მახასიათებლები“ გვ. 11;



ვიღვით გარემოსდაცვითი და
სოციალური სამართლიანობისთვის
საქართველოში



მონიტორინგ ვუნვეთ
საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტების საქმიანობას

თბილისი, 0179, საქართველო
ვალთაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

გადასახლებელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გადასახლების წინააღმდეგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობის ნაწილი უკვე იყო გადასახლებული, თუმცა გადასახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ გაძლო და კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ საცხოვრისს. ამ ოჯახებისთვის მეორედ გადასახლება კიდევ უფრო რთული და მიუღებელია.

ამასთან, საქართველოში არ არსებობს განვითარების პროექტების შედეგად დაზარალებულთა გადასახლების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა გადასახლებულთა ცხოვრების ადექვატურ დონეს, როგორც ეს მოთხოვნილია გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კოვენანტში (11 მუხლი). საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ექსპროპრიაციის შესახებ, რომელიც გადასახლებისას გამოყენებადი ერთადერთი ინსტრუმენტია (იმ შემთხვევაში, თუ პროექტში არ არის ჩართული ესა თუ ის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი), არ იცავს დაზარალებული მოსახლეობის უფლებებს.

2. გარემოზე ზემოქმედება

ხუდონ-ჰესის მშენებლობა გააძლიერებს ბუნებრივი ჰაბიტატების, ტყეებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა დაკარგვის პროცესს, ასევე ჰიდროტექნიკური ნაგებობის (კაშხლისა და რეზერვუარის) ზედა ბიეფში წყალშემკრები ტერიტორიების დეგრადაციას.

ხუდონ-ჰესის გარდა, დაგეგმილია სხვა ჰესების მშენებლობაც ხუდონ-ჰესის ზემოთ, მდ. ნენსკრასა და მდ. ენგურზე. შესაბამისად, არსებულ ენგურ-ჰესთან ერთად, გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება საკმაოდ ძლიერი შეიძლება იყოს და თევზის ზოგიერთი სახეობის სრული გაქრობა გამოიწვიოს.

მდინარე ენგურის აუზის ზედა ნაწილში გავრცელებულია სუბალპური ტყეები და მდელოები, ასევე ალპური ტუნდრა. ეს ტერიტორია ცნობილია თავისი ენდემური ბიომრავალფეროვნებით; აქ გავრცელებულია მტაცებელ ფრინველთა ისეთი სახეობები, როგორცაა: ოქროს არწივი, ორბი, ბატკანძერი; ასევე ენდემური სახეობები: კავკასიური შავი როჭო, კავკასიური შურთხი და კავკასიური ყარანა; ამ მიდამოებში ასევე გავრცელებულია ჯიხვი, არჩვი, მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი, შველი და გარეული ღორი. ხუდონ-ჰესის პროექტი გამოიწვევს ცხოველთა ამ სახეობების ჰაბიტატების მნიშვნელოვან და შესაძლოა, შეუქცევად ცვლილებას.

ხუდონისა და ენგურის წყალსაცავების ფუნქციონირება უარყოფითად აისახება წყლის ხარისხზე, წყალდიდობების ბუნებრივ რეჟიმსა და მდინარის ბინადართა შემადგენლობაზე.

გარდა აღნიშნულისა, პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება ადგილობრივ კლიმატზე. ხუდონის წყალსაცავის მშენებლობა გამოიწვევს ღრუბლიანობისა და ნალექების კლებას, მდგრადი გავლენა გავრცელდება 5 კმ-ს რადიუსში, თუმცა ზეგავლენა ექნება მთლიანად სვანეთზე. კვლევები ადასტურებენ, რომ „2001 წლის მონაცემებით, ენგურის მშენებლობის შედეგად, ჰაერის ტემპერატურის საშუალოთვიური მნიშვნელობები 10 თვის (VII-IV) განმავლობაში აღმოჩნდა ნაკლები, ხოლო მაისში და ივნისში მეტი წინა პერიოდის (1959-1979) შესაბამის მნიშვნელობებზე. ტემპერატურის მნიშვნელობებს შორის განსხვავების სიდიდე მაქსიმალურია მარტში და აპრილში (-0,6). საშუალოწლიური ტემპერატურა უკანასკნელ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით ჯვარში და ხაიშში დაეცა 0,2-ით, მესტიაში 0,1-ით, ხოლო გალში მოიმატა 0,4 გრადუსით“². „სოფელ ხაიშში წყალსაცავის გამაგრებულ ეფექტს ადგილი აქვს ნოემბერ-თებერვლის, მესტიაში ოქტომბერ-აპრილის, გალში კი ნოემბერ-იანვრის განმავლობაში“³. ეჭვგარეშეა, რომ ხუდონის წყალსაცავის აშენების შემთხვევაში ჰაერის ტემპერატურის ცვლილება გახდება უფრო ინტენსიური.

² საქართველოს კლიმატური რესურსები, ე.ელიზბარაშვილი, 2007, თბილისი, ჰიდრომეტალურგიული ინსტიტუტი;

³ საქართველოს კლიმატური რესურსები, ე.ელიზბარაშვილი, 2007, თბილისი, ჰიდრომეტალურგიული ინსტიტუტი;

3. ზეგავლენა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, სერვისების ხელმისაწვდომობასა და ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებზე

წყალსაცავის მშენებლობის გამო გზის 18-30 კმ-ით დაგრძელებამ შეიძლება კიდევ უფრო მოწყვიტოს ზემო სვანეთი დანარჩენ საქართველოს (ზამთარში ჯვარიდან მესტიამდე ასვლას 2-4 საათი სჭირდება, რაც შესაძლოა გაიზარდოს 5 საათამდე). ამან, შესაძლოა, ერთის მხრივ, მძიმე ზეგავლენა იქონიოს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, ხელი შეუშალოს ფართოდ რეკლამირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას ქვეყანაში.

4. ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ძლიერი ზემოქმედება ექნება ზემო სვანეთში არსებულ და დიდწილად ჯერ კიდევ შეუსწავლელ კულტურულ მემკვიდრეობაზე. მართალია უშუალოდ სოფელი ხაიში არ არის წარმოდგენილი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალში, აქ განლაგებულია რამოდენიმე შუასაკუნოვანი ისტორიული ძეგლი, ხაიშის ციხე, შუასაუკუნოვანი სასაფლაო და ეკლესია. გარდა ამისა, ხაიშში აღმოჩენილია ჯერ კიდევ შეუსწავლელი არქეოლოგიურ ძეგლი, რომელიც თარიღდება I საუკუნით.

5. პროექტის სარგებელი ქვეყნისთვის

პროექტი არ არის მომგებიანი საქართველოსთვის. ამასთან, პროექტთან დაკავშირებული ხარჯები არ არის ინტეგრირებული პროექტის საერთო ღირებულებაში (მათ შორის, გზები, ეროზიის საწინააღმდეგო გეგმები).

პროექტი ხორციელდება „აშენება, ფლობა, ოპერირება“ (Build, Own, Operate) პრინციპით. კომპანია Trans Electrica Limited-თან დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობა იღებს სხვადასხვა სახის ვალდებულებას, მათ შორის, პროექტისთვის საჭირო მიწის გადაცემას სიმბოლურ ერთ დოლარად, მატერიალური დანაკარგების ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, აგრეთვე არ მოითხოვს პროექტიდან რაიმე დამატებით ბონუსსა თუ წილს, თუნდაც უფასო ელექტროენერჯის სახით, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას. მაგალითად, ინდოეთში კომერციული პროექტების განხორციელებისას 12-30% გამოიმუშავებული ენერჯისა შეადგენს ადგილობრივი თუ ფედერალური პროექტის წილს და თან ეს არ გამორიცხავს დამატებითი ბონუსების მოთხოვნას სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს მხარეს აქვს უფლება, ხუდონ-ჰესის პროექტის პირველი ათი წლის განმავლობაში, ზამთრის თვეებში ენერგოდეფიციტის დასაფარად შეიძინოს წინასწარ დადგენილი ოდენობით ელექტროენერჯია, რომლის შესასყიდი ფასი არ უნდა იყოს 5.84 აშშ ცენტზე ნაკლები ერთ კილოვატ /საათზე (ამასთან, ფასის ზედა ზღვარი არ უნდა იყოს თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიაზე მეტი).

6. ინვესტორის კომპეტენცია და ავტორიტეტი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ასევე ხუდონ-ჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის კომპეტენცია. როგორც ირკვევა, Trans Electrica Limited-ს დაარსებიდან დღემდე არცერთი პროექტი განუხორციელებია; ხუდონ-ჰესის პროექტი კომპანიის პირველი პროექტია.

კომპანია Trans Electrica Limited-ი დარეგისტრირებულია 2010 წლის 25 იანვარს ვირჯინის კუნძულებზე და წარმოადგენს 2008 წლის 2 მაისს დაფუძნებული „კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედის“ უფლებამონაცვლეს. მისი საწესდებო კაპიტალი 200 მლნ ლარია. კომპანიას ჰყავს ორი ინდოელი და ორი ქართველი დირექტორი. კომპანიის ზოგიერთ დაქირავებულ ექსპერტს აქვს სხვადასხვა ინდურ ჰიდროენერგეტიკულ პროექტში მუშაობის გამოცდილება და ამ პროექტთა ნაწილს Trans Electrica Limited-ი თავის ვებ-გვერდზე საკუთარ პროექტებად წარმოაჩენს. კომპანიის ერთ-ერთი დირექტორის, პაატა წერეთელის განცხადებით, პროექტის მშენებლობისათვის Trans Electrica Limited-ი დაიქირავებს სხვა კომპანიას.

2011 წლის 4 ნოემბრამდე ცნობილი იყო, რომ კომპანიის ყველა აქცია Trans Electrica Limited-ს ეკუთვნოდა. 4 ნოემბერს სოფ. ხაიში გამართული საკონსულტაციო შეხვედრის დროს კი, ცნობილი გახდა, რომ Trans Electrica Limited-ის აქციები ეკუთვნოდათ ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში გამოცდილ და კომპეტენტურ კომპანიებს, რომელთა სახელების დასახელებისაგან კომპანიის ქართველმა დირექტორმა პაატა წერეთელმა თავი შეიკავა, მათი დასახელების უფლებამოსილების არქონის გამო. მისი განცხადებით, Trans Electrica Limited-ი წარმოადგენს ბიზნესის კოლექტიური მართვის მაგალითს. მოგვიანებით Trans Electrica Limited-ის ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია სამი აქციონერი კომპანიის შესახებ (World Energy Limited; SGGS INFRASTRUCTURE LIMITED; Olney Assets s.a). მწვანე ალტერნატივამ მოიძია ინფორმაცია აღნიშნული კომპანიების შესახებ და დაადგინა შემდეგი:

- World Energy Limited - დიდი ბრიტანეთის რეესტრის მონაცემებით, 2000 წლის 8 მაისს ამ სახელწოდების მქონე კომპანია მართლაც დარეგისტრირდა, თუმცა ამავე რეესტრის მონაცემებით, კომპანიამ არსებობა შეწყვიტა 2003 წლის 11 თებერვალს. ინფორმაცია სხვა მსგავსი სახელის მქონე კომპანიაზე არ იძებნება; ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ Trans Electrica Limited-ის ერთ-ერთი აქციონერი 2003 წელს ლიკვიდირებული კომპანიაა⁴;
- SGGS INFRASTRUCTURE LIMITED - ეს კომპანია, პირველი აქციონერისგან, განსხვავებით არსებობს, თუმცა ის დაფუძნებულია 2011 წლის 29 ივლისს. ამ შემთხვევაში, კომპანიის გამოცდილებასა თუ კომპეტენციაზე საუბარიც კი არ შეიძლება იყოს⁵;
- Olney Assets s.a - ეს კომპანია Trans Electrica Limited-ის ყველაზე საინტერესო აქციონერია, ვინაიდან მის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ იძებნება.

II. შენიშვნები ხუდონჰესის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიშსა და კონსულტაციის პროცესზე

1. ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა სკოპინგის ეტაპის საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ

ხუდონ-ჰესის პროექტის სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საჯაროობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფის პროცედურები განხორციელდებოდა საქართველოს კანონმდებლობის, მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ამავე დოკუმენტის თანახმად, კომპანია „სათანადო დროს გააკეთებს განცხადებას საჯარო მოსმენების ჩატარების შესახებ მედიასაშუალებებით. ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ გამოქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში: „24 საათი“, „კვირის პალიტრა“ და ადგილობრივ მედია-საშუალებებში“⁶.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განცხადება სკოპინგის ეტაპის საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ არ გავრცელებულა არც „24 საათში“ და არც „კვირის პალიტრაში“. იმის გათვალისწინებით, რომ ზემო სვანეთში არ არსებობს ადგილობრივი ტელევიზია, რადიო და არც ადგილობრივი გაზეთი გამოდის, ადგილობრივ მედია-საშუალებებში განცხადება ფიზიკურად ვერ გავრცელდებოდა. ამდენად, გაურკვეველია, რატომ არ ჰქონდათ პროექტის კონსულტანტებს მოკვლევითი ინფორმაცია სვანეთში ადგილობრივი მედია-საშუალებების არსებობის შესახებ, როდესაც ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობად მოიაზრებდნენ ამ საშუალებას.

⁴ იხ.: <http://www.cdrex.com/world-energy-limited-7536425.html>

⁵ იხ.: <https://www.jerseyfsc.org/registry/documentsearch/NameDetail.aspx?id=281565>

⁶ ხუდონჰესის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება: სკოპინგის დოკუმენტი; ოქტომბერი 2011; „7.0 პროექტის ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა“ გვ. 45;

განცხადებები სკოპინგის ეტაპის საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ გაკეთდა მხოლოდ CENN-ის ელექტრონული ქსელის საშუალებით ხაიში დაგეგმილ განხილვამდე 10 დღით ადრე⁷ და გამოქვეყნდა მხოლოდ სოფელი ხაიშისა და დაბა მესტიის გამგეობის შენობაში. ჩვენი აზრით, 10 დღე დოკუმენტაციის გაცნობისათვის და შეხვედრისთვის სათანადოდ მოსამზადებლად არ არის საკმარისი დრო და აუცილებელია, შეხვედრამდე სულ მცირე 30 დღით ადრე გამოქვეყნდეს განსახილველი დოკუმენტები. გარდა ამისა, მხოლოდ CENN-ის ელექტრონული ქსელისა და მუნიციპალიტეტებში გამოკრული განცხადებებით ინფორმაციის გავრცელება ვერ ჩაითვლება ვერც უშუალოდ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის და ვერც ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გაწეულ საკმარის და შესაფერის ძალისხმევად.

ამასვე ადასტურებს განხილვამდე ერთი დღით ადრე, 2011 წლის 3 ნოემბერს მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლების განხორციელებული სავლე გასვლა პროექტის შესაძლო ზემოქმედების (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზეგავლენის) ქვეშ მოქცეულ სოფლებში (17 სოფელი: ბარჯაში, თოთანი, ნალქერვალი, შგეთი, ციცხვარი, იდლიანი, ლებურცხილა, სკორმეთი, ლუხი, ლახანი, ლახამი, ტობარი, ქვედა და ზედა ვედი, ზედა ხაიში, გაღმა ხაიში და ხაიში). სავლე გასვლის მიზანი იყო იმის დადგენა, ფლობდნენ, თუ არა ამ სოფლის მაცხოვრებლები ინფორმაციას 4 ნოემბრის საჯარო განხილვის შესახებ.

აღმოჩნდა, რომ მხოლოდ სოფელ ხაიშისა და სოფელ ვედის მოსახლეობამ იცოდა 4 ნოემბერს დაგეგმილი სკოპინგის საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ, თუმცა მათი განცხადებით, მხოლოდ რამოდენიმე ოჯახს ჰქონდა სკოპინგის ანგარიში. ხაიშის თემის სხვა არცერთ სოფელში არ ფლობდნენ ინფორმაციას განხილვის შესახებ. მას შემდეგ კი, რაც სხვა სოფლების მაცხოვრებლებმაც შეიტყვეს მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებისგან 4 ნოემბრის შეხვედრის თაობაზე, გამგეობის პატარა ოთახში შეუძლებელი გახდა ყველა დაინტერესებული მოქალაქის დატევა.

კითხვის ნიშნებს ბადებს თავად ის ფაქტიც, თუ რატომ შეირჩა შეხვედრის გამართვის ადგილად სოფელ ხაიშის გამგეობის პატარა ოთახი, სადაც ცხადი იყო, რომ ყველა მსურველის დატევა შეუძლებელი იქნებოდა და რატომ არ დაინიშნა ეს შეხვედრა, თუნდაც, სკოლის სააქტო დარბაზში.

2. სკოპინგის ეტაპის საკონსულტაციო შეხვედრა სოფელ ხაიში

პროექტის ინვესტორმა შეხვედრის დაწყებისთანავე მოსახლეობას განუცხადა, რომ ხუდონ-ჰესის აშენება უკვე გადაწყვეტილი იყო და მშენებლობის პროცესი დაიწყებოდა 2012 წლის აპრილიდან. ეს შეხვედრა კი, მათი მხრიდან მოსახლეობასთან თანამშრომლობის სურვილით იყო ნაკარნახევი და იგი დიალოგის ხელს უწყობდა მოსახლეობას.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული განცხადებით ინვესტორმა შეცდომაში შეიყვანა მოსახლეობა და ფაქტობრივად, არასწორი და დამაბნეველი ინტერპრეტაცია გაუკეთა სკოპინგის პროცესს, განცხადება წარმოადგენდა პროექტისადმი უარყოფითად განწყობილი მოსახლეობის აზრის უგულვებელყოფისა და უკვე „გადაწყვეტილ რეალობასთან“ შესაგუებლად მოსახლეობაზე ზეწოლის მცდელობას, რამაც დამსწრე მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

შეხვედრაზე პრაქტიკულად არ განხილულა პროექტის ალტერნატივები. უფრო მეტიც, მთელი შეხვედრის განმავლობაში პროექტის ინვესტორი და მისი კონსულტანტები ამტკიცებდნენ, რომ მშენებლობის დაწყება უკვე გადაწყვეტილია და პროექტის სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსახლეობის პროექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა, აზრსაა მოკლებული.

პასუხგაუცემელი დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ინვესტორისა და პროექტზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის კომპეტენცია მსგავსი პროექტების განხორციელების და გარემოსდაცვითი/ სოციალური კვლევების ჩატარების სფეროში. Trans Electrica Limited-ის ქართველი

⁷ 2011 წლის 25 ოქტომბერს გავრცელდა განცხადება სკოპინგის შეხვედრის შესახებ;

დირექტორის განცხადებით, მას არ ჰქონდა კომპანიის აქციონერების დასახელების უფლებამოსილება, თუმცა ირწმუნებოდა, რომ აქციონერები იყვნენ უაღრესად გამოცდილი კომპანიები, რომელთაც აშენებული ჰქონდათ არაერთი ჰესი ინდოეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ასეთივე დაბეჯითებით არწმუნებდა ის ადგილობრივ მოსახლეობას პროექტის კონსულტანტების მაღალი კომპეტენციის შესახებ, თუმცა ვერ დაასახელა კონსულტანტების მიერ შესრულებული რომელიმე წარმატებული პროექტის გარემოსდაცვითი/ სოციალური კვლევა.

3. სკოპინგის ეტაპის საკონსულტაციო შეხვედრა თბილისში

მეორე შეხვედრა თბილისში 2011 წლის 11 ნოემბერს სასტუმრო რადისონში გაიმართა. ისევე როგორც ხაიშში, თბილისში გამართულ შეხვედრასაც უამრავი ადამიანი დაესწრო, მათ შორის, ხაიშის მაცხოვრებლები.

ხაიშის შეხვედრისგან განსხვავებით, პროექტის კონსულტანტებმა თბილისის შეხვედრაზე წარმოადგინეს პროექტის სკოპინგის ანგარიში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შეხვედრის მონაწილეთა მიერ დასმულ პრაქტიკულად ყველა პრინციპულ შეკითხვაზე ადექვატური პასუხი არ იქნა გაცემული. მაგალითისთვის, საზოგადოებამ ვერ მიიღო პასუხი შემდეგ კითხვებზე: როგორ აპირებენ კონსულტანტები დეტალური კვლევების ჩატარებას სვანეთში ზამთრის პერიოდში და შესაბამისად, გზშ-ს მომზადებას? როგორ აპირებენ დეტალური განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენას და მოსახლეობის თანამონაწილეობითობის უზრუნველყოფას გეგმის მომზადების პროცესში ასეთ მოკლე ხანში - 2012 წლის აპრილამდე? ვინ არიან Trans Electrica Limited-ის აქციონერები? გააჩნია, თუ არა კომპეტენცია პროექტის კონსულტანტებს მსგავსი პროექტების შეფასებაში?

ნათელია, რომ ხაიშისა და თბილისის შეხვედრები ატარებდა ფორმალურ ხასიათს; ორგანიზატორთა მიზანი იყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროცედურების ფორმალური დაკმაყოფილება და არა პროცესში ადგილობრივი მოსახლეობისა და ფართო საზოგადოების ჩართვა. ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ხაიშსა და თბილისში ჩატარებული შეხვედრები ჩაითვალოს პროექტის სკოპინგის ეტაპის საკონსულტაციო განხილვებად, ხოლო განხილვების შესახებ ინფორმაციის გავრცელება - ინფორმაციის გავრცელების კარგ პრაქტიკად.

4. სკოპინგის ანგარიშის შინაარსი

სკოპინგის ანგარიშის ავტორთა მტკიცებით, დოკუმენტი მომზადებულია:

- საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მათ შორის: საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“;
- მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის სახელმძღვანელო მოთხოვნებისა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების მიხედვით;
- მსოფლიო ბანკისა და ერგბ-ს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის სახელმძღვანელო მოთხოვნების შესაბამისად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სკოპინგის პროცესისას უნდა დადგინდეს გზშ-ს მასშტაბი, რათა დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე მოხდეს ყველა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხის იდენტიფიცირება და შემდგომ სრულფასოვნად შესწავლა. სკოპინგის შედეგად უნდა გამოვლინდეს დაინტერესებული მხარეების და დაზარალებული მოსახლეობის ინტერესები, მოსაზრებები და პროექტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები; ასევე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განხილულ უნდა იქნეს პროექტის ალტერნატივები, რომლებიც შემდგომ უფრო დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი გზშ-ს კვლევისას.

საგულისხმოა, რომ Trans Electrica Limited-ის მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში, აგრეთვე ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებები, სრულად გამორიცხავს ხუდონ-ჰესის ნებისმიერ ალტერნატივას, მათ შორის, „არ აშენების“ ალტერნატივას, რომლის განხილვაც, როგორც

საქართველოს კანონმდებლობის, ისე მსოფლიო ბანკისა და ერგბ-ს მოთხოვნების თანახმად, წარმოადგენს გზმ-ს ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას.

რაც შეეხება ტექნიკურ ალტერნატივებს, უარყოფილ იქნა ყველა ალტერნატივა, გარდა ხუდონის არსებულ უბანზე 200-მეტრიანი კაშხლის მშენებლობისა.

უპირატესი ალტერნატივის შერჩევის გასამართლებლად ჩამოთვლილი მიზეზები (სკოპინგის ანგარიში, გვ. 23), ნათლად წარმოაჩენს, რომ პროექტის განმახორციელებლბმა შეარჩიეს არა გარემოსდაცვითად და სოციალურად მდგრადი ალტერნატივა, არამედ ალტერნატივა, რომელიც ერთის მხრივ, ყველაზე იაფია, გამოიმუშავებს ყველაზე დიდი ოდენობით ელექტროენერჯიას და მეორეს მხრივ, ქმნის მომავალში მდ. ენგურზე დიდი ჰესების მშენებლობის შესაძლებლობას. ამასთან, საინტერესოა, რომ დოკუმენტში ჩამოთვლილ შესასწავლ გარემოსდაცვით საკითხებში არ არის აღნიშნული, რომ პროექტის ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას განხილული იქნება ზემო სვანეთში უკვე არსებული ენგურ-ჰესისა და დაგეგმილი ხუდონის, ნენსკრას და სხვა წყალსაცავების / ჰესების კუმულაციური და სინერგეტიკული ზემოქმედება.

სამწუხაროდ, სკოპინგის ანგარიშის გარემოსდაცვით ნაწილზე სხვა ზოგადი ან დეტალური შენიშვნის გაკეთება შეუძლებელია, ვინაიდან დოკუმენტი ძალზე ზოგადი და შეიძლება ითქვას, მოუმზადებელია.

5. განსახლების პრინციპები

სკოპინგის ანგარიშში, პროექტის შესაძლო უარყოფით შედეგებს შორის, გამოვლენილია ადამიანების როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური გადასახლება. სკოპინგის ანგარიშის ავტორები გადასახლებაზე საუბრისას მუდმივად აპელირებენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკებსა და პრაქტიკაზე, მაგრამ თავად ანგარიშში წარმოდგენილი პრინციპები ეწინააღმდეგება როგორც მსოფლიო ბანკისა და ერგბ-ს განსახლების პრინციპებს, ისე გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა.

ანგარიშის თანახმად, *„განსახლებისა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული აქტივების შემენის დროს მთავარი პრინციპი უნდა იყოს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის სანაცვლო ღირებულების კომპენსაციის შეთავაზება, რაც გამოიანგარიშება როგორც აქტივების საბაზრო ღირებულებას დამატებული განსახლებისა და გარიგებების ხარჯები“*.

როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ერგბ-ს შემთხვევაში, იძულებითი გადასახლების პრინციპი გულისხმობს „ადგილნაცვალი ადამიანების საარსებო პირობებისა და სტანდარტების გაუმჯობესებას ან მინიმუმ აღდგენას, იმ ზომების გამოყენებით, რომლებიც შეიძლება ხელფასებზე და/ან საწარმოსთან იყოს დაკავშირებული, რათა მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მდგრადი გაუმჯობესება იქნეს სტიმულირებული, ადგილნაცვალი ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ადექვატური საცხოვრებლის უზრუნველყოფით ახალ ადგილას საცხოვრებელზე გარანტირებული უფლებით“⁸.

წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში, საუბარია არა საარსებო პირობების და სტანდარტების გაუმჯობესებაზე, არამედ კომპენსაციაზე, რაც ყოვლად მიუღებელია; ეს არ წარმოადგენს არცერთი ზემოთ აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტის პრინციპს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად (გვ. 40-41), კომპენსაციები გაიცემა პირებზე, რომელთაც:

1. აქვთ საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული საკუთრების ფორმალური იურიდიული უფლებები, რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;

⁸ ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, www.ebrd.com

2. არ გააჩნიათ საკუთრების რეგისტრირებული იურიდიული უფლებები უძრავ ქონებაზე/მიწაზე ან სხვა სახის აქტივებზე ინვენტარიზაციის მომენტისთვის, მაგრამ აქვთ საქართველოს კანონმდებლობით აღიარებადი მოთხოვნები ასეთ უფლებებზე;

3. არ გააჩნიათ საკუთრების რაიმე სახით იდენტიფიცირებადი იურიდიული უფლებები ან მოთხოვნები, მაგრამ ფაქტობრივად ფლობენ უძრავ ქონებას/მიწას ან სხვა სახის აქტივებს; თუმცა ის პირები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთრების რაიმე სახით იდენტიფიცირებადი და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებადი იურიდიული უფლებები ან მოთხოვნები, მაგრამ ფაქტობრივად ფლობენ მიწას ან სხვა სახის აქტივებს, მიიღებენ დახმარებას ახალ ადგილზე საარსებო პირობების სათანადო დონეზე აღსადგენად, მაგრამ ვერ მიიღებენ კომპენსაციას მიწისთვის, იმ პირებისგან განსხვავებით, რომელთაც აქვთ მიწის საკუთრების რაიმე სახით იდენტიფიცირებადი იურიდიული პრეტენზია.

მსოფლიო ბანკისა და ასევე, ერგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკაში ნათლადაა ჩამოყალიბებული, რომ „თუ გადასახლება გარდაუვალია, კლიენტი ადგილნაცვალ პირებს და თემებს დაკარგული აქტივების სანაცვლოდ შესთავაზებს სრული შეცვლის ხარჯების ანაზღაურებას და სხვა დახმარებას, რათა დაეხმაროს მათ საცხოვრებელი პირობების ან საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში ან აღდგენაში მაინც, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობების შესაბამისად. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კომპენსაციის სტანდარტები გამჭირვალე და თანმიმდევრული უნდა იყოს. თუ ადგილნაცვალი ადამიანების საარსებო წყარო მიწის ნაკვეთთან არის მჭიდროდ დაკავშირებული, ან თუ მიწის ნაკვეთს კოლექტიურად ფლობს რამდენიმე პირი, კლიენტი მათ შეძლებისდაგვარად შესთავაზებს კომპენსაციას მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. კლიენტი ყველა ზომას იხმარს, რათა შესაძლებლობა მისცეს ადგილობრივ პირებსა და ადგილობრივ თემებს, გამოიყენონ პროექტიდან გამომდინარე განვითარების ყველაზე ნაირი ეფექტი“.

ერგბ-ს თანახმად, პირებს „რომლებსაც არ გააჩნიათ ოფიციალური იურიდიული უფლებები მიწის ნაკვეთზე მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის, მაგრამ აქვთ პრეტენზიები მიწაზე ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ან აღიარებადი პირობებით,“ მოხდება სრული კომპენსაცია. ბანკის განმარტებით „ამგვარი პრეტენზიები შეიძლება მომდინარეობდეს ქონების უკანონო ფლობიდან ან ჩვეულებითი ანუ ტრადიციული სამართლიდან.“

გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების კომიტეტი აღიარებს მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადასახლების პოლიტიკას, როგორც საუკეთესო პრაქტიკას. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა 4.12-ის თანახმად, მიწაზე კომპენსაციას მიიღებენ არამარტო ის პირები, რომელთაც აქვთ ეროვნული კანონმდებლობით აღიარებადი მოთხოვნები ასეთ უფლებებზე, არამედ ის პირებიც, რომელთა საკუთრებაზე უფლებების აღიარება მოხდება განსახლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული პროცესის შესაბამისად⁹. აღიარებადი მოთხოვნის უფლებად ითვლება ისეთი უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც მომდინარეობს ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში ამ ქონების უკანონო ფლობიდან, ან ამ ქონების ფლობიდან ჩვეულებითი თუ ტრადიციული სამართლის შესაბამისად ან სხვა შემთხვევებში¹⁰.

ამდენად, ბენეფიციართა მეორე ჯგუფში შედის (და შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულ პირთა მეორე ჯგუფში უნდა შევიდეს) ის მოსახლეობაც, რომლებსაც შესაძლოა არ გააჩნდეთ უძრავი ქონების დამადასტურებელი საბუთი და შესაბამისად, არ ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით აღიარებადი უფლება ქონებაზე, თუმცა ისინი შეიძლება იყვნენ მიწის ნაკვეთების ტრადიციული მესაკუთრეები ან მესაკუთრეები, რომლებიც დაკავებულ მიწას ხანგძლივი პერიოდის

⁹ „Those who do not have formal legal rights to land at the time the census begins but have a claim to such land or assets — provided that such claims are recognized under the laws of the country or become recognized through a process identified in the resettlement plan (See Annex A, para. 7(f))“;

¹⁰ “Such claims could be derived from adverse possession, from continued possession of public lands without government action for eviction (that is, with the implicit leave of the government), or from customary and traditional law and usage, and so on”.

განმავლობაში ფლობდნენ და ფლობენ (სვანეთისა და ზოგადად, საქართველოს მთის მოსახლეობის უმრავლესობა).

ბენეფიციართა ამ ჯგუფის განსაზღვრისათვის, აუცილებელია, რომ გადასახლების სამოქმედო გეგმის მომზადებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ანალიზის მომზადებისას, წარმოჩენილ იქნეს¹¹ შესაბამისი კანონმდებლობა, მათ შორის, ჩვეულებითი და ტრადიციული; განსხვავება ქვეყნისა და ბანკის გადასახლების პოლიტიკებს შორის; მექანიზმები, რომლითაც მოხდება ამ განსხვავებების აღმოფხვრა. ანალიზი ნათლად უნდა ასახავდეს იმ სამართლებრივ ნაბიჯებს, რომლის საშუალებითაც მოხდება მიწის მიმართ ჩვეულებითი და ტრადიციული სამართლიდან წარმოშობილი პრეტენზიების აღიარება. სწორედ ამის საფუძველზე უნდა მოხდეს იმის დადგენა, თუ ვის ეკუთვნის კომპენსაცია და არა საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული პრეტენზიების ფარგლებში.

რაც შეეხება ბენეფიციართა მე-3 ჯგუფს, ამ პირებს მართალია „არ ეკუთვნით კომპენსაცია მიწის ნაკვეთისთვის, თუმცა მათ კომპენსაცია უნდა მიიღონ იმ შენობებისთვის, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ და იკავებდნენ, ასევე მიწის ნაკვეთის ნებისმიერი გაუმჯობესებისთვის, სრული გამოცვლის ხარჯებით. ამასთანავე მათ უნდა შესთავაზონ სხვა შესაფერის ალტერნატიულ ადგილას საცხოვრებელი პირობების აღსადგენად საკმარისი გადასახლების დახმარება. გადასახლების დახმარების ვარიანტები უნდა ჩამოყალიბდეს ადგილნაცვალ ადამიანებთან კონსულტაციების საფუძველზე და მათში ასახული უნდა იყოს ამ ადამიანების პრიორიტეტები და სურვილები“. სხვა სიტყვებით, აუცილებელია არამარტო „დახმარება ახალ ადგილზე საარსებო პირობების სათანადო დონეზე აღსადგენად“, არამედ სრული ანაზღაურება იმ ქონებისთვისაც (მიწის გარდა, როგორც უძრავი ქონების, აგრეთვე ნათესების, ხეების და სხვ.) რომელიც მათ ეკუთვნოდათ.

გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი დიდი კაშხლების პროექტების ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის საკითხს განიხილავს ზოგად კომენტარში N7 – „ადექვატური საცხოვრისი“ და ზოგად კომენტარში N15 – „უფლება წყალზე“. ორივე მათგანი პასუხობს პაქტის მე-11 მუხლს ცხოვრების ადექვატურ სტანდარტზე. დამატებით, ადექვატური საცხოვრისის სპეციალურმა რაპორტერმა, მილონ კოტარმა, შეიმუშავა განვითარების პროექტების გამო გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, რომელიც ასახავს ადექვატური საცხოვრისის უფლებას, როგორც ადექვატური საცხოვრებელი სტანდარტისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებას ამ კონტექსტში (E.CN.4/2006/41).

ზოგად კომენტარში N7, ნათლად არის ასახული, რომ გადასახლება უნდა იყოს თავიდან აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი. იმავეს მოითხოვს როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ერგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკები.

განვითარების პროექტების გამო გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების თანახმად, გადასახლებისას, ადამიანებს აქვთ უფლება უკეთეს ან მსგავს ალტერნატიულ მიწაზე და ადექვატურ საცხოვრისზე, რომელიც მოიცავს ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებების არსებობასაც (შრომის, ინფრასტრუქტურას და სხვა საშუალებები). კომპენსაცია უნდა მოიცავდეს დაკარგულ შესაძლებლობებს, მათ შორის დასაქმებასა და მიწას. ამასთან, მიწისთვის კომპენსაცია უნდა იყოს პრიორიტეტი.

¹¹ The findings of an analysis of the legal framework, covering:

(c) relevant law (including customary and traditional law) governing land tenure, valuation of assets and losses, compensation, and natural resource usage rights; customary personal law related to displacement; and environmental laws and social welfare legislation;

(d) gaps, if any, between local laws covering eminent domain and resettlement and the Bank's resettlement policy, and the mechanisms to bridge such gaps; and

(f) any legal steps necessary to ensure the effective implementation of resettlement activities under the project, including, as appropriate, a process for recognizing claims to legal rights to land--including claims that derive from customary law and traditional usage (see [OP 4.12, para.15 b](#)).

გადასახლება არ უნდა დაიწყოს გადასახლების გეგმის მომზადებამდე, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება როგორც კომიტეტის მიერ დადგენილ პრინციპებთან, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებთან, მათ შორის, დაზარალებული ჯგუფებისა და თემების უფლებასთან, გამოიყენონ *სრული და წინასწარ ინფორმირებული თანხმობის უფლება* (free, prior and informed consent) გადასახლებასთან დაკავშირებით¹².

¹² To allow and encourage the participation of persons belonging to minority groups, indigenous peoples or to other communities in the design and implementation of laws and policies that affect them. In particular, States parties should obtain their free and informed prior consent when the preservation of their cultural resources, especially those associated with their way of life and cultural expression, are at risk (General comment No. 21); Right of everyone to take part in cultural life (art. 15, para. 1 (a), of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights).